

# სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი



## ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა

---

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის  
სატენდერო დოკუმენტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-12<sup>1</sup> მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე

CPV - 79800000

2015 წელი  
ქ. გორი

## სარჩევი

1	შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება	გვ. 3 - 4
2	სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	გვ. 5 - 7
3	დამატებითი ინფორმაცია	გვ. 8
4	დანართი N 1 - რეკვიზიტები	გვ. 9
5	დანართი N2 - ფასების ცხრილი	გვ. 10
6	დანართი N3 - აფიდავიტი	გვ. 11

## **1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება**

- 1.1 სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა.
- 1.2 მომსახურების გაწევის ვადები - მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.
- 1.3 დაფინანსების წყარო - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 2015 წლის ეკონომიკური შემოსავლები.

**სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გაზეთის „გორის უნივერსიტეტი“ და ქურნალის „ჩვენი უნივერსიტეტი“ ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურების ტექნიკური პარამეტრები**

№	საბეჭდი მასალის დასახელება	საქონლის აღწერილობა (ტექნიკური პარამეტრები)	პერიოდული	ტირაჟი /ეგზემპლ. რაოდენობა ყოველი გამოცემისას/	გვერდების რაოდენობა	მიწოდების ვადები
1	ქურნალი „ჩვენი უნივერსიტეტი“	<ul style="list-style-type: none"> <li>• გარეკანი - ფერადი, ცარცის (გლუვი) 200 გრ.</li> <li>• სიმაღლე - 290 მმ/29სმ/</li> <li>• სიგანე - 205 მმ/20,5სმ/</li> <li>• შიდა ქაღალდი ყვითელი, საწიგნე 70 გრ.</li> </ul>	არაუმეტეს წელიწადში 6-ჯერ	350	64	
2	გაზეთი „გორის უნივერსიტეტი“	<ul style="list-style-type: none"> <li>• ფორმატი - A3</li> <li>• ქაღალდი /ფერადი-ოთხ ფერში, პრიალა/ ცარცის 115 გრ.</li> </ul>	არაუმეტეს წელიწადში 12-ჯერ	500	4	ქ. გორი ჭავჭავაძის ქ. №53

### **1.2. ანგარიშსწორების პირობები:**

- 1.2.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
  - 1.2.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპიბრივად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში შესყიდვის ობიექტის თაობაზე მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და სასაქონლო ზედნადების ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.
  - 1.2.3. წინასწარი ანგარიშსწორების პირობები არ განიხილება.
- უნივერსიტეტის ქურნალ-გაზეთების ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სავარაუდო ღირებულებაა 7200 (შვიდი ათას ორასი) ლარი.
  - შესყიდვის ობიექტის დიზაინი და ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკური დავალების მოთხოვნებს, მომსახურება შესრულებული უნდა იყოს მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე.
  - მიწოდებული საქონლის შემოწებას და მიღება-ჩაბარებას განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირი, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია საქონლის ხარისხის ინსპექტირება.
- თუ შესყიდვის ობიექტი არ დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, შემსყიდველი უფლებამოსილია ინსპექტირების პირის დასკვნის საფუძველზე მოითხოვოს არსებული ხარვეზის გამოსწორება. ხარვეზის გამოსწორებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობება წერილობით.

- გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.
- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ფასების ცხრილში, ერთეულის ფასი მოცემული და განფასებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

**1.3. პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:**

- 1.3.1. a) რეკვიზიტები №1 დანართის მიხედვით
  - ბ) ფასების ცხრილი №2 დანართის მიხედვით,
- 1.3.2. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

**1.4. საქონლის მიწოდების ადგილი:**

- 1.4.1. დაბეჭდილი წიგნების მიწოდება განხორციელდება ქ. გორში ჭავჭავაძის ქ. №53-ში.

## 2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროცეტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცეტი.

ერთი მხრივ, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში შემსიყდველი) წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი ხორბალაძის სახით და მეორე მხრივ „-----“ (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი ----- სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადების ნომერი SPA-----) საშუალებით, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

### 1. ტერმინთა განმარტება

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიჭნებები.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება” - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3 „შემსყიდველი” - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 „მიმწოდებელი” - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის საგნის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.5 „დღე, კვირა, თვე” - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.6 „ფორს - მაჟორი” - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუმდეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ მიწისმვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპროტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.
- 1.7 „მომსახურება” - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

### 2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1 სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გაზეთის „გორის უნივერსიტეტი” და უურნალის „ჩვენი უნივერსიტეტი” ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებიების (CPV: 79800000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.
- 2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს.
- 3.2 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

### 4. მიღება - ჩაბარება და ანგარიშსწორება

- 4.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები ან ანგარიშფაქტურა).
- 4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.
- 4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და წინამდებარე ხელშეკრულების
- 4.2 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

- 5.1 მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს ----- შემსყიდველის მისამართზე (გორი, ჭავჭავაძის ქ. N53)

5.2 შესყიდვის ობიექტის (დაბეჭდილი საქონლის) მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

6.1.1 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება; აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6.1.2 აწარმოოს საქონლის (დაბეჭდილი საქონლის) ხარისხის ინსპექტირება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1 მოახდინოს ანგარიშწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობებით;

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

6.3.1 მიიღოს გაწეული ბეჭდვითი მომსახურებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1 მიაწოდოს შემსყიდველს მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული მომსახურება.

6.4.2 საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებით და სხვა სამუშაო პირობებით.

## 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პირი.

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ მისაწოდებელი ან/და მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ინსპექტირების ჩატარება საკუთარი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. შემსყიდველის ინიციატივით, ინსპექტირების მიზნით გამოყენებული საკუთარი ან მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

7.4 ნებისმიერი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8. გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს ყველა ნაკლის გამოსწორება.

## 9. ფორს - მაჟორი

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს - მაჟორით.

9.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან.

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუმდლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 10. პირგასამტებლო

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტებლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტებლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტებლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვიტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტებლოს ანაზღაურება.

10.3 პირგასამტებლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებებისგან.

## **11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

- 11.1 ხელშეკრულებაში წერილი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- 11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
- 11.3 ხელშეკრულებაში წერილი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
- 11.4 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
- ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
  - ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
  - გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;
  - დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## **12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

- 12.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 12.2. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **13. დავების გადაწყვეტა**

- 13.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეების უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## **14. შეტყობინება**

- 14.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე წერილი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ორიგინალის შემდგომში წარმოდგენით.

- 14.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების შემდეგ.

## **15. გადასახადები და დაბეგვრა**

- 15.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახადების გადახდაზე.

## **16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

- 16.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს -----.

## **17. სხვა პირობები**

- 17.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 17.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 17.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
- 17.4. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცეა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შესმყიდველს.
- 17.5. წინამდებარე ხელშეკრულების წერილი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
- 17.6. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება დანართებით თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## **18. მხარეთა რეკვიზიტები**

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

### 3. დამატებითი ინფორმაცია

3.1 სატენდერო დოკუმენტებთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. გორი ჭავჭავაძის №53, მე-2 სართული, ოთახი №207 ტელ: 0370229490; - ბიუჯეტირებისა და შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ლიანა აბისონაშვილი 577 151224

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფირმა და დასახელება:

ხელმძღვანელის გვარი, სახელი:

პრეტენდენტის მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის საკომუნიკაციო საშუალებები: ტელეფონი. ფაქსი, მობილური:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი:

უფლებამოსილი პირი (თანამდებობა / სახელი, გვარი) -----

ხელმოწერა / ბეჭედი

## ფასების ცხრილი

პრედენდენტის დასახელება

№	საბუჭიდი მასალის დასახელება	პერიოდულობა	ტირაჟი /გზუმშესლი. რაოდენობა ყოველი გამოცემისას/	ერთულის ფასი	საერთო ღირებულება თვეში	საერთო ღირებულება წლიურად	მომსახურების გაწვევის ვადა	მიწოდების ადგილი
1	შურნალი „ჩვენი უნივერსიტეტი”	არაუმეტეს წელიწადში 6-ჯერ	350				ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით	ქ გორი ჭავჭავაძის ქ. №53
2	გაზეთი „გორის უნივერსიტეტი”	არაუმეტეს წელიწადში 12-ჯერ	500				ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით	

- შენიშვნა:** თითოეული ობიექტის ელექტრონულ ვერსიას, გამარჯვებულ პრეტენდენტს მიაწვდის შემსყიდველი ორგანიზაცია.
- შემყიდველის მიერ დასაბუჭიდად გამზადებული ელექტრონული ვერსიის მიწოდების შემდეგ, მიმწოდებელმა დაბეჭდილი საქონელი უნდა მიაწოდოს შემსყიდველს არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

უფლებამოსილი პირი (თანამდებობა / სახელი, გვარი) -----

ხელმოწერა / ბეჭედი

**აფიდავიტი**  
**სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე**

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად, ასევე ვადასტურებ, რომ:

\* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

\* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

\* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

\* ჩემთვის ცნობილია ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

\*მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსადა კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადებების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისათვის თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობა ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

\* სატენდერო წინადადების პირობები პრედენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჯდავნებია ან/და არ გაუმჯდავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრედენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყურობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად.